ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

2.17 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი

ღირებულებით და იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2019 წლის, 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება მისაღები ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ შემდგომ კლასიფიკაციაზე:

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხებისა და მისაღები ანგარიშების შეფასება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით ხდება. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება, როგორც ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის ან სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის, აღიარების შეწყვეტა ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა
2. კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება ან
 - (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი
 - (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორიცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

გაუფასურების ნებისმიერი ზარალის დადგენილი თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი (ასახული ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში) კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად. სესხები, მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება 2019 წლის. 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას და მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და პროცენტულ სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით დარიცხული ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობების ან ისეთი მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობების საფუძველზე, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს თითოეული საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება.

1. აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე; ან
2. მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით

2.18 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

2.19 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

2.20 იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

როდესაც კომპანია მოიჯარეა

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად

ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის

ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

როდესაც კომპანია მოიჯარეა

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

2.21 დაკავშირებულ მხარეებს შორის გარიგება

პირები დაკავშირებული მხარეებად ითვლებიან თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ მათ აკონტროლებს ერთი და იგივე პირი.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე. ამავე დროს თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული (მაგალითად ფასს (IFRS) 2 – „წილობრივი გადახდა“ ან ბასს (IAS) 39 – „ფინანსური ინსტრუმენტები“ – „აღიარება და შეფასება“), მათ შორის განხორციელებული გარიგება დასდება თვითღირებულებით. ამავე დროს თუ გარიგება არ შეიცავს საზღაურეს, მაშინ მათი ღირებულება ფასდება ნულით.

2.22 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.23 ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობას წარმართავს 2014 წლის 22 დეკემბრიდან და ამავე პერიოდიდან თავისი საქმიანობის აღრიცხვისთვის იყენებს საერთაშორისო ბუღალტრული საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვტანა წინა, 2018 და 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ვინაიდან კომპანია თავისი საქმიანობის დაწყების დღიდან იყენებს საერთაშორისო ბუღალტრული საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს), 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების და მისი შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მიზნით, რაიმე ტიპის კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა მრავალ ფაქტორებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასის მიხედვით ხელმძღვანელობისაგან საჭიროებს ანგარიშგებაში, შეფასებებსა და წინადადებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვაზე და ინფორმაციის გახსნაზე პოტენციურ აქტივებსა და ვალდებულებებზე.

შეფასების მონაცემი ეფუძნება ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებულ მონაცემებს. ეს შეფასებები გადაიხედება პერიოდულად, აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირდება, ასეთი კორექტირებები აისახება ფინანსური შედეგების შემადგენლობაში იმ პერიოდში, როცა იქნა ცნობილი. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ფუნქციონირებადი საწარმო და ფუნქციონირების პერსპექტივები უახლოეს მომავალში

შპს „რეკან გრუპ ჯორჯია“ ფინანსური ანგარიშგება შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან,

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებისაგან და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებისაგან საანგარიშგებო პერიოდისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ კომპანია ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავისი ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

3.1 ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსხხგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საადრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

1. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	საოფისე ფართის დროებითი ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	დაცვის სისტემები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამურად
2016 წლის 31 დეკემბერი	0	120	0	0	0	0	120
შესყიდვები	0	16,165	0	381	381	2,474	19,402
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0
2017 წლის 31 დეკემბერი	0	16,285	0	381	381	2,474	19,522
2017 წლის 31 დეკემბერი	0	16,285	0	381	381	2,474	19,522
შესყიდვები	22,025	10,125	37,213	932	16,545	0	86,839
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბერი	22,025	26,410	37,213	1,314	16,926	2,474	106,361
2018 წლის 31 დეკემბერი	22,025	26,410	37,213	1,314	16,926	2,474	106,361
შესყიდვები	0	7,705	219	10,433	0	0	18,358
გაყიდვები და ჩამოწერა	0	0	0	(1,297)	0	0	(1,297)
2019 წლის 31 დეკემბერი	22,025	34,114	37,432	10,450	16,926	2,474	123,422
ცვეთა	საოფისე ფართის დროებითი ნაგებობა	ოფისის აღჭურვილობა	დაცვის სისტემები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამურად
2016 წლის 31 დეკემბერი	0	31	0	0	0	0	31
ცვეთის დარიცხვა	0	839	0	14	14	41	908
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0
2017 წლის 31 დეკემბერი	0	871	0	14	14	41	939
2017 წლის 31 დეკემბერი	0	871	0	14	14	41	939
ცვეთის დარიცხვა	3,671	3,056	589	165	288	165	7,934
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0
2018 წლის 31 დეკემბერი	3,671	3,927	589	179	301	206	8,873
2018 წლის 31 დეკემბერი	3,671	3,927	589	179	301	206	8,873
ცვეთის დარიცხვა	4,405	4,229	5,332	893	2,418	165	17,442
ცვეთის შემცირება	0	0	0	0	0	0	0

**შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)**

2019 წლის 31 დეკემბერი	8,076	8,156	5,921	1,072	2,719	371	26,315
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	15,414	0	368	368	2,433	18,582
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,354	22,483	36,624	1,134	16,625	2,268	97,488
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	13,949	25,958	31,512	9,378	14,207	2,103	97,107

2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	122,940	53,788	1,862
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	203,282	228,791	25,225
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	90,507	12,764	32,162
	416,730	295,343	59,250

3. მარაგები

კომპანიის მარაგებს წარმოადგენს გასაყიდი ფართობი, შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი მშენებარე ბინები და აღნიშნულ ბინებზე მიკუთვნებული მიწები. მიწები მარაგად აღიარდება მას შემდეგ, რაც მათზე იწყება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი ობიექტების მშენებლობა.

მარაგების საერთო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 44 570 512 ლარს, რომლის შემადგენლობაში განხილულია მიწა საკადასტრო კოდი 05.32.04.806.02.102, რომელზეც მიმდინარეობს სასტუმროს ტიპის აპარტოტელების მშენებლობა. მიწა შეძენილია აარ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან რიგი ვალდებულებებით 2014 წლის 25 დეკემბერს. უნდა განხორციელდეს 50 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია, ექსპლუატაციაში გაშვებიდან 3 თვეში უნდა დასაქმდეს 490 ადამიანი, საიდანაც 80% იქნება საქართველოს მოქალაქე.

მარაგები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
მიწის ნაკვეთები	5,488,660	5,671,200	5,671,200
ნედლეული და მასალები	20,477	149,816	78
მშენებარე სასტუმრო ლეზ და მარია კაჩინსკების ქუჩაზე	39,060,214	18,470,842	6,995,876
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1,160	698	21,163
	44,570,512	24,292,556	12,688,318

4. პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები და მოთხოვნის ანარიცხი

პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2019	2018	2017
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	1,783,959	1,780,968	1,780,968
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული სადავო თანხის ანარიცხი	(1,780,968)	(1,780,968)	0
თანამშრომლებზე გადახდილი ავანსები	0	6,250	0
	2,990	6,250	1,780,968

კომპანიას გააჩნია მოთხოვნა კომპანიის ყოფილი დირექტორის მიმართ თანხით - 1 780 968 ლარის ოდენობით, ანგარიშგების გამოცემის მომენტისათვის აღნიშნულ თანხაზე მიმდინარეობს სისხლის სამართლის დავა, უცნობია როდისთვის დასრულდება აღნიშნული სასამართლო პროცესი. არსებული ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე აღნიშნული თანხის ამოღების მაღალი რისკის გამო შეიქმნა პირობითი მოთხოვნის ანარიცხი და ასახული იქნა გასული საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

5. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

სხვა მიმდინარე მოთხოვნები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილა შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	20,000	10,000	0
ბიუჯეტში ჩათვლილი გადასახადის აქტივი	369,365	2,921,596	916,322
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	55,637	55,637	55,637
სხვა მიმდინარე აქტივები	200,000	0	0
გადახდილი დღგ	369	0	0
მომავალ პერიოდში ჩასათვლელი დღგ	24,264	146,116	228,688
	669,635	3,133,349	1,200,646

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან. კომპანია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს მოთხოვნების ნაშთებს შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ასეთის გამოვლენის შემთხვევაში კომპანია ახდენს უიმედო მოთხოვნის ჩამოწერას. შესაბამისად, კომპანიას 2018 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ აქვს ვადაგადაცილებული და გაუფასურებული ფინანსური მოთხოვნები.

6. მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილა შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
სავაჭრო ვალდებულებები	1,530,046	488,873	8,370,015
ფიზიკური პირების მიერ გაწეული მომსახურებაზე ვალდებულებები	0	24,984	0
საიჯარო ვალდებულება	0	125	0
	1,530,046	513,983	8,370,015

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლე ვადის გამო.

შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

7. სესხები და მასთან დაკავშირებული პროცენტი

სესხები და მასთან დაკავშირებული ოპერაციები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
გადასახდელი პროცენტები	906,081	397,046	257,516
	906,081	397,046	257,516
გადასახდელი სესხის ძირი	7,736,849	2,676,600	1,296,100
	7,736,849	2,676,600	1,296,100

კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები, ის ფიქსირებულია და შეადგენს წლიურ 8%.

8. საგადასახადო ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებების

საგადასახადო ვალდებულებები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
გადასახდელი დღგ	0	(646)	0
გადახდილ ავანსზე ჩათვლილი დღგ	0	0	15,254
პენსიის დაგროვების ანგარიში	146	0	0
მოსალოდნელი საგადასახადო ხარჯის ანარიცხი	205,745	206,613	0
	205,891	205,967	15,254

2018 წლის 13 დეკემბერს შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული იქნა აქტის პროექტი შ.პ.ს რეკან გრუპ ჯორჯიას“ მიმართ, საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების თაობაზე 206 613 ლარის ოდენობით, კომპანია არ ეთანხმება აღნიშნულ სანქციას და გასაჩივრებული აქვს აუდიტის დეპარტამენტში.

9. შემოსავლები

შემოსავლები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
ამონაგები	5,713,542	7,695	0
თვითღირებულება	(1,515,185)	(593)	0
	4,198,357	7,102	0

კომპანიას 2017 წლის 10 ნოემბრის ბრძანება N5023176-ით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-1 მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის №279 დადგენილების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის N303 ბრძანების მე-14 მუხლის “გ 1” პუნქტისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის N2742 ბრძანების მე-9 დანართის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე 2017 წლის 10 ნოემბრიდან მიენიჭა ტურისტული საწარმოს სტატუსი.

შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

ტურისტული საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც ამენებს სასტუმროს, ახორციელებს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდებას (გამოსყიდვის უფლებით ან უამისოდ) და ამ ქონების შემძენთან გაფორმებული სასყიდლიანი ხელშეკრულების (მათ შორის, იჯარის, სარგებლობის უფლების, მართვის უფლების, საკუთრების მინდობის, საშუაშვლო ან/და სხვა მსგავსი სახელშეკრულებო პირობით) საფუძველზე უზრუნველყოფს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოყენებას.

სასტუმროს მშენებლობის დასრულების შემდეგ ტურისტული საწარმო ვალდებულია:

ა) დადგენილი ოდენობის ფართობი გამიზნული ჰქონდეს სასტუმრო ნომრებად/აპარტამენტებად გამოსაყენებლად;

ბ) უზრუნველყოს, რომ მშენობის (სასტუმროს) ექსპლუატაციაში მიღებიდან არაუმეტეს 10 კალენდარული წლის განმავლობაში კონკრეტული ობიექტიდან (სასტუმროდან) ტურისტული საწარმოს მიერ ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ობიექტის/მისი ნაწილის სასტუმროდ ფუნქციონირებისთვის/ოპერირებისთვის მოწვეული პირის/პირების მიერ დეკლარირებული (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ობიექტის მიხედვით შესაბამის პერიოდში დამატებით დარიცხული) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა ჯამურად (გარდა დღგ-ისაგან გათავისუფლებული ოპერაციებისა) არ იყოს სასტუმროს აქტივების/მათი ნაწილის მიწოდების შედეგად ამ კოდექსის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დღგ-ისაგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულ ბრუნვაზე ნაკლები.

აღნიშნული სტატუსის ქონა უწესებს შეღავათებს სტატუსის მქონე კომპანიებს, მაგრამ არ ათავისუფლებს საბოლოო საგადასახადო ვალდებულებებისაგან. წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებები, უნდა მოიცავდეს იმავდროულად აქტივის გამოყენების უფლების გადმოცემას, აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, კომპანიას გაფორმებული აქვს დამატებითი შეთანხმებები წინარე ნასყიდობის ხელშეკრულებებში, მონაწილე მხარეებთან.

კომპანია შემოსავლებს დააგენერირებს, ბინების ექსპლუატაციაში გადაცემის შემდეგ. მშენებლობასან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზდება დაუნთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე.

10. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილა შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
ადმინისტრაციული ხელფასი	(578,045)	(363,001)	(93,905)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(10,939)	(21,814)	(6,698)
მივლინების ხარჯი	(11,309)	(25,365)	(813)
საიჯარო ქირა	(1,500)	(1,000)	0
რეალტორების მომსახურების ხარჯები	(214,104)	(138,065)	(10,721)
კომუნიკაციის ხარჯები	(3,469)	(2,773)	(425)
იურიდიული მომსახურების ხარჯი	(34,262)	(147,730)	0
საბუღალტრო მომსახურების ხარჯი	0	0	(6,100)
ცვეთა და ამორტიზაცია	(17,442)	(7,934)	(908)
საეჭვო მოთხოვნის ხარჯები	0	(1,987,581)	0
სხვა საგადასახადო ხარჯი	(7,791)	(3,081)	(2,624)
სხვა საერთო ხარჯი	(227,095)	(118,621)	(14,696)
	(1,105,957)	(2,816,964)	(136,890)

11. არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
არასაოპერაციო ზარალი	0	(86,208)	0
ხელშეკრულების დარღვევიდან დაკისრებული ჯარიმები	(1,000)	(156,271)	0
ხელშეკრულების დარღვევიდან მიღებული ჯარიმები	73,902	0	0
დეპოზიტზე საპროცენტო შემოსავლები	13,907	701	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(481,493)	(2,224)	(191)
	(394,683)	(244,002)	(191)

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში, მენარდე კომპანიისაგან სახელშეკრულებოურთიერთობის დარღვევისათვის დაეკისრა ჯარიმა 156 271 ლარის ოდენობით, რომელიც აისახა პერიოდის მოგება-ზარალში.

12. კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული შედეგი

არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები 2019, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018	2017
სავალუტო აქტივები და ვალდებულებების	(433,790)	178,225	(351,563)
კურსთა შორის სხვაობა	3,118	240,648	53,846
	(430,672)	418,874	(297,716)

13. ფინანსური რისკების მართვა

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიას არ გააჩნია რისკის მართვის წერილობითი პოლიტიკა. თუმცა, უმაღლესი მენეჯმენტი ახორციელებს რისკების კონტროლს და მიზნად ისახავს ისეთი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც შეამცირებს კომპანიის რისკებს და დაიცავს კომპანიის კონკურენტუნარიანობას და მოქნილობას რისკების უარყოფითი ეფექტისგან

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული ოპერაციები ხორციელდება როგორც ლარზე, ასევე უცხოურ ვალუტაში. ასეთი სიტუაცია იწვევს საკურსო სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების არსებობას. კომპანიას არ განუხორციელებია სავალუტო რისკების შეფასება.

შპს "რეკან გრუპ ჯორჯია"-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკურსო სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, რომელიც წარდგება მომწოდებლებისაგან. კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს